საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 19 03021175

12/11/2019

ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. N3 ბ სახლის ბინათმესაკუთრეთა
ამხანაგობა "მერიდიანი ვაკე"-ს თავმჯდომარეს
მერი რამიშვილს

ქალბატონო მერი,

თქვენი, მიმდინარე წლის 11 ნოემბრის N 3014181 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამსახურის კომპეტენციას არ განეკუთვნება შენობა-ნაგებობებთან მისასვლელ გზებზე და გასასვლელებში პარკირების ბოძგიტების, შლაგბაუმების, ჭიშკრების, ბარიერების და ბლოკირების სხვა სისტემების მოწყობის თაობაზე შესაბამისი ნებართვების ან თანხმობის გაცემა.
განცხადებაში მითითებული საკითხის განხილვის და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნებართვის გამცემ შესაბამის ორგანოს ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ